პროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში დაბიდან და სოფლებიდან უპატრონო მაწანწალა ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	უპატრონო მაწანწალა ძაღლების გარიდება სოფლებიდან, კმაყოფილი მოსახლეობა		

#### 4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,896.0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

განათლება

(ლარებში)

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
IV	04 00	განათლება	1726004
1	04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1677000
1.1.	04 01 01	ა.ა.ი.პ შუახვევის ბაღების გაერთიანება	1370000
1.2	04 01 03	დღვანის ბაგა ბაღის მშენებლობა	100 000
1.3	04 01 04	მახალაკიძეების ბაგა ბაღის და ეზოს კეთილმოწყობა	70000
1.4	04 01 05	ფურტოს ბაგა ბაღის ეზოს კეთილმოწყობა	44 000



2	04 02	სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები	49004
2.1	04 02 01	დაბა შუახევში არსებული შენობის რემონტი პროფესიული სასწავლებლის განსათავსებლად	37004
2.2	04 02 03	ნიგაზეულის საჯარო სკოლის ავტობუსის მოვლა-პატრონობა	12 000

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ლარში
	04 01		1 677 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შუახევის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	ა(ა)იპ - შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება - მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ - შუახევის ბაგა-ბაღების ბაღების გაერთიანება,, რომელიც აერთიანებს		
	13 საბავშვო ბაღსა და 8 ალტერნატიულ ბაღს სადაც დაწყებით განათლებას		
	იღებს 546-ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში სწავლა უფასოა , აღნიშნული თანხით ძირითადად ფინანსდება ბავშვების კვების ხარჯები. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა		
	სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		
	მიზანი: სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.		
	შედეგი: გაზრდილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა, და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - შუახევის ბაგა-ბაღების ბაღების გაერთიანება	დაფინანსება ლარში
	04 01 01		1 370 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შუახევის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	ა(ა)იპ - შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება - მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ - შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება,, რომელიც აერთიანებს 13 საბავშვო ბაღსა და 8 ალტერნატიულ ბაღს სადაც დაწყებით განათლებას იღებს 546-ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში სწავლა უფასოა , აღნიშნული თანხით ძირითადად ფინანსდება ბავშვების კვების ხარჯები. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.		
	მიზანი: მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა		



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

შედეგი: უზრუნველყოფილია მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი შეუფერხებელი ფუნქციონირება

პროგრამის დასახელება	კოდი	დაფინანსება ლარში
	04 01 03	
		დღევანდის ბაგა ბავშვის მშენებლობა
		100 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შუახევის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სოფელ დღევანში ახალი სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობას, რადგან დღეის მდგომარეობით სოფელ დღევანში არის ალტერნატიული ბავშვის სადაც ირიცხება 15 მოსწავლე, ბავშვთა რაოდენობის ზრდამ და ალტერნატიული ბავშვის ფართის სიმცირის გამო ვეღარ ხერხდება დამატებით ბავშვთა მიღება ამისთვის საჭიროა ახალი საბავშვო ბავშვი, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და სრულად იქნება მორგებული ბავშვებზე.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა	
	შედეგი: უზრუნველყოფილია მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი შეუფერხებელი ფუნქციონირება	

პროგრამის დასახელება	კოდი	დაფინანსება ლარში
	04 01 04	
		მახალაკიძეების ბაგა ბავშვის და ეზოს კეთილმოწყობა
		70 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შუახევის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სოფელ მახალაკიძეების საბავშვო ბაგა-ბავშვის და ეზოს კეთილმოწყობას, რადგან დღეის მდგომარეობით ბავშვს არ გააჩნია ეზო და ის სივრცე რომელიც ბავშვს ესაჭიროება. დასრულდება 2021 წელს.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა	
	შედეგი: უზრუნველყოფილია მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი შეუფერხებელი ფუნქციონირება	
პროგრამის დასახელება	კოდი	დაფინანსება ლარში
	04 01 05	
		ფურტიოს ბაგა ბავშვის ეზოს კეთილმოწყობა
		44 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შუახევის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სოფელ მახალაკიძეების საბავშვო ბაგა-ბავშვის და ეზოს კეთილმოწყობას, რადგან დღეის მდგომარეობით ბავშვს არ გააჩნია ეზო და ის სივრცე რომელიც ბავშვს ესაჭიროება.	



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა
	შედეგი: უზრუნველყოფილია მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი შეუფერხებელი ფუნქციონირება

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ლარში
	04 02		49004
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შუახევის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	ნიგაზეულის საჯარო სკოლის ავტობუსის მოვლა-პატრონობა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: 2006 წელს ავტობუსი გადაეცა საჩუქრად ნიგაზეულის საჯარო სკოლას მისი მოვლა პატრონობა აღებული აქვს მუნიციპალიტეტს		
	შედეგი: საჯარო სკოლაში ბავშვების უფასო ტრანსპორტირება		
პროგრამის დასახელება	კოდი	დაბა შუახევში არსებული შენობის რემონტი პროფესიული სასწავლებლის განსათავსებლად	დაფინანსება ლარში
	04 02 01		37004
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შუახევის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	გარემონტება დაბა შუახევში არსებული ორსართულიანი შენობა პროფესიული სასწავლებლისთვის		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	განთავსდება პროფესიული სასწავლებელი, სადაც მომზადდებიან სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები		
პროგრამის დასახელება	კოდი	ნიგაზეულის საჯარო სკოლის ავტობუსის მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ლარში
	04 02 03		12 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შუახევის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	ნიგაზეულის საჯარო სკოლის ავტობუსის მოვლა-პატრონობა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: 2006 წელს ავტობუსი გადაეცა საჩუქრად ნიგაზეულის საჯარო სკოლას მისი მოვლა პატრონობა აღებული აქვს მუნიციპალიტეტს		
	შედეგი: საჯარო სკოლაში ბავშვების უფასო ტრანსპორტირება		



## 5. კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

### კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 798 280 ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
V	05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	964300
1	05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	270000
1.1.	05 01 01	ა.ა.ი.პ შუახვევის სასპორტო სკოლა	187 500
1.2.	05 01 02	სპორტული ღონისძიებები	5 000
1.3.	05 01 03	ა.ა.ი.პ ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სკოლა განვითარების მხარდაჭერა	77 500
2	05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	694 300
2.1.	05 02 01	ა.ა.ი.პ შუახვევის კულტურის ცენტრი	591 000
2.2.	05 02 02	ა.ა.ი.პ შუახვევის ხელოვნების სკოლა	85 800
2.3.	05 02 03	კულტურული ღონისძიებები	15 000
2.4.	05 02 04	ახალგაზრდული ღონისძიებები	2500
პროგრამის დასახელება		კოდი	დაფინანსება ლარში
		05 01	270 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სპორტის განვითარების ხელშეწყობა	
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: - ა(ა)იპ შუახვევის სასპორტო სკოლა; - სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა; - ა(ა)იპ შუახვევის ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სკოლა - სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია;	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება შედეგი: მუნიციპალიტეტში გაზრდილია საზოგადოების ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში გაზრდილია შუახვევის სპორტსმენების მიღწევები	

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ შუახვევისის სასპორტო სკოლა	დაფინანსება ლარში
	05 01 01		187 500



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ შუახევის სასპორტო სკოლა
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასპორტო სკოლის მიმდინარე ხარჯებისა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის დაფინანსება, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. სასპორტო სკოლაში მოქმედებს 21 სექცია 10 სპორტის სახეობაში( თავისუფალი ჭიდაობა-3, ქართული ჭიდაობა-2, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა-1; ჭადრაკი-1, კალათბურთი-2, მაგიდის ჩოგბურთი-2, ფრენბურთი-2, კრივი-1, მძლეოსნობა-1), სადაც სწავლება უფასოა და 365-მდე ბავშვია სხვადასხვა სპორტულ სახეობებში ჩაბმული.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: სასპორტო სკოლის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სკოლასთან ნარსებული სპორტული სექციების განვითარების ხელშეწყობა. შედეგი: უზრუნველყოფილია სასპორტო სკოლის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, სკოლის ბაზაზე არსებული სპორტული სექციების საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობ

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ლარში
	05 01 02		5 000

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური</b>
---------------------------------------	---

პროგრამის აღწერა	1. მუნიციპალიტეტის პირად პირველობებში, აჭარის პირველობებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება <b>სათხილამურო სპორტი</b> ;
	2. მუნიციპალიტეტის პირად პირველობებში, აჭარის პირველობებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება <b>ქართულ ჭიდაობაში</b> ;
	3. მუნიციპალიტეტის პირად პირველობებში, აჭარის პირველობებსა და სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის მიღება <b>თავისუფალ ჭიდაობაში</b> ;
	3. საერთაშორისო და ღია რესპუბლიკურ ტურნირებში მონაწილეობის მიღება <b>ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში</b> ;
	4. მუნიციპალიტეტის პირველობასა და აჭარის ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღება <b>ჭადრაკში</b> (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით) ვაჟები, გოგონები;
	5. მუნიციპალიტეტის პირველობის, აჭარის ჩემპიონატებსა და ამხანაგურ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება <b>მაგიდის ჩოგბურთში</b> ( ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით) ვაჟები, გოგონები
	6. მუნიციპალიტეტის პირველობის, აჭარის პირველობებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღება <b>ფრენბურთში</b> ( ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით) ვაჟები, გოგონები
	7. მუნიციპალიტეტისა და აჭარის პირველობებში მონაწილეობის მიღება <b>კალათბურთში</b> (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით) ვაჟები, გოგონები
	8. მუნიციპალიტეტისა და აჭარის პირველობებში მონაწილეობის მიღება <b>მძლეოსნობაში</b> (სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა, კროსი სხვადასხვა დისტანციაზე) (ვაჟები, გოგონები)
	9. დასავლეთ საქართველოს ბავშვთა <b>სარაგბო</b> ფესტივალებში მონაწილეობის მიღება
	10. მუნიციპალიტეტისა და აჭარის პირველობებში მონაწილეობის მიღება <b>ფეხბურთში</b> ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით
11. მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა, (მძლეოსნობის სახეობებში– რბენა სხვადასხვა დისტანციაზე, ბადროს სტყოცნა, ამანათრბენი, სიგრძეზე ხტომა, ბირთვის კვრა, ბადროს სტყოცნა),ორი დღე (გოგონები,ვაჟები;	





	12. მუნიციპალიტეტისა და აჭარის პირველობებში მონაწილეობის მიღება <b>მკლავჭიდაში</b> ;
	13. მუნიციპალიტეტის ღია პირველობის, აჭარის პირველობასა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება <b>კრივში</b> ;
	14. „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2019“ (რეგიონალური თამაში) მძლეოსნობა, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი- ვაჟები, გოგონები;
	15. სახალხო დღესასწაულები „შუამთობა“, „შუახევობა“;
	16. ევროპის სპორტის კვირეული;
	17. სპორტის სფეროში წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელებისთვის ფულადი წახალისება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<b>მიზანი:</b> სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლება.
	<b>შედეგი:</b> ჩატარებულია სპორტული ტურნირები, ადგილობრივი და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სპორტსმენების მონაწილეობით

პროგრამის დასახელება	კოდი	ააიპ ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სკოლა	დაფინანსება ლარში
	05 01 03		77 500
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სკოლა		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სასპორტო სკოლაში მოქმედებს 7 სექცია, ფეხბურთის 3, რაგბის 4, დაახლოებით 60 მოსწავლე		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლება.		
	შედეგი: ჩატარებულია სპორტული ღონისძიებები, ადგილობრივი და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სპორტსმენების მონაწილეობით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - შუახევის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ლარში
	05 02 01		591 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - შუახევის კულტურის ცენტრი		
	ქვეპროგრამის ფარგლებში შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის: მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ადგილობრივი მოსახლეობის, სტუმრებისა და ტურისტებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. მნიშვნელოვანია კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების, სახელოვნებო დარგის ახალგაზრდებთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის, მაქსიმალური მხარდაჭერა. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა (კულტურის მუშაკების, პედაგოგების) განვლილი გზის განზოგადება და დაფასება		



პროგრამის აღწერა	<p>(იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.) ქართული კულტურის პოპულარიზაცია და შუახვევის, როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის, გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. ამ მიზნით მუნიციპალური ანსამბლებისათვის გასტროლების დაგეგმვა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ., საბიბლიოთეკო განყოფილებისათვის ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების, შეხვედრების და სხვადასხვა თემატური გამოფენების მოწყობა.; შუახვევის კულტურის ცენტრთან არსებული მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება უზრუნველყოფს მივიწყებული ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნებას მოსწავლე ახალგაზრდობაში და მისი პოპულარიზაციის მიზნით მონაწილეობას მიიღებს სახალხო დღესასწაულებსა და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ტურიზმის ხელშეწყობ საერთაშორისო ღონისძიებებში. 9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - ღონისძიების ფარგლებში 9 აპრილის მემორიალური დაფა შეიმკობა გვირგვინითა და ყვავავილებით. გაიმართა პარაკლისი და ადგილობრივი ანსამბლები შეასრულებენ საგალობელს. 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა სპორტული აქტივობები, სპორტულ ღონისძიებებში გამოვლენილი გამარჯვებულების დაჯილდოებები, კონცერტები, საბავშვო კუთხეების გამოფენები და სხვა აქტივობები. საახალწლო-საშობაო ღონისძიებები - საახალწლო-საშობაო აქტივობები, შეხვედრები, კონცერტები, ფასიანი საჩუქრების გადაცემა და სხვა ღონისძიების თანმდევი აქტივობების განხორციელება, მოსახლეობაში საზეიმო განწყობის შექმნა</p>
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების, სტრუქტურული ერთეულების - სასოფლო კლუბებისა და კულტურის ცენტრების განვითარების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, კულტურულ- საგანმანათლებლო ღონისძიებები და მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება, მონაწილეობა მუნიციპალურ, რეგიონულ და ტურისტულ ღონისძიებებში</p> <p>შედეგი: უზრუნველყოფილია - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების განვითარება, ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები და მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	დაფინანსება ლარში
	05 02 02	ა(ა)იპ - შუახვევის სახელოვნებო სკოლა
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - შუახვევის ხელოვნების სკოლა	
პროგრამის აღწერა	<p>ა(ა)იპ შუახვევის სახელოვნებო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლის უფლებით სარგებლობენ ბავშვები 6 წლის ასაკიდან. სკოლაში არის ორი განყოფილება კერძოდ: საფორტეპიანო, და ხალხური განყოფილება. ხალხურ განყოფილებაში ისწავლება ,, ფანდური,, გიტარა და კლასიკური ფანდური. სწავლება 6 წლიანი. სკოლას ჰყავს ფოკლორული ანსამბლები: „მთიანი“, „იავნანა“, „ათინათი“. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ შუახვევის სახელოვნებო სკოლასთან არსებული მუსიკალური ანსამბლების მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა. ადგილობრივი მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის (კლასიკური მუსიკა, ფოლკლორი) შეთავაზება. მნიშვნელოვანია ა(ა)იპ შუახვევის სახელოვნებო სკოლაში საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, გასტროლი და სხვა მოტივაცია).</p>	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: მისცეს მოსწავლეებს სახელოვნებო განათლება, მოამზადოს მოსწავლეები წსავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე სახელოვნებო განათლების მიღების მიზნით, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწოს პიროვნების ინდივიდუალურ- შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩენა/გამოვლენა.</p>	
	<p>შედეგი: სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა; მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება;</p>	



პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	დაფინანსება ლარში
	05 02 03		15 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>შუახვევის კულტურული ცხოვრების ტრადიციის მქონე მუნიციპალიტეტია ქართულ სიმღერისა და ცეკვის გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული ცხოვრების აქტივობის გაზრდა ეროვნული ღონისძიებების პაპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება. დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, შპს ეტალონი- მედია,მასწავლებელთა მუნიციპალური კონფერენცია,9 აპრილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება,საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა,9 მაისის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 74 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება,სახალხო დღესასწაული „სელიმობა“, მოსწავლეებს შორის რაიონული სხვადასხვა საგნობრივი კონკურსი,ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“, ზავშეთა დაცვის საერთაშორისო დღე,მუნიციპალიტეტის მოქმედი ანსამბლების, შემოქმედებითი კოლექტივების, ხელოვნების სფეროში მოღვაწე პირების საიუბილეო ხსოვნის საღამოს თარიღების აღნიშვნა.მუნიციპალიტეტის მოქმედი ანსამბლების, შემოქმედებითი კოლექტივების, ხელოვნების სფეროში მოღვაწე პირების საიუბილეო ხსოვნის საღამოს თარიღების აღნიშვნა.მუნიციპალიტეტის მოქმედი ანსამბლების, შემოქმედებითი კოლექტივების, ხელოვნების სფეროში მოღვაწე პირების საიუბილეო ხსოვნის საღამოს თარიღების აღნიშვნა.სახალხო დღესასწაული „შუამთობა~მასწავლებლის საერთაშორისო დღე, ფესტივალი „ჯვარიმინდორი“, სახალხო დღესასწაული „შუახვეობა, ქვეყნის გარეთ ოლიპიადების,ფესტივალების სხვადასხვა ღონისძიებები,ქვეყნის მასშტაბით ოლიპიადების, ეთნოგრაფიული ნიმუშებისა დაფესტივალების სხვადასხვა ღონისძიებები,სახალხო ღონისძიება.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: გაზრდილია მუნიციპალიტეტის კულტურული აქტივობა, ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა.</p>		
პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებები	დაფინანსება ლარში
	05 02 04		2500
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში 2020 წელს დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქვეყნის შიგნით სხვადასხვა გასართობი, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, არაფორმალური განათლების და შუახვევის კინოკლუბის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები. ხელი წეწყოზა წარმატებული ახალგაზრდების მოტივირებას, კონკურენტუნარიანობის და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას სწორედ მონაწილეობა წარმოადგენს. მაშინ, როცა ახალგაზრდას ექნება მაღალი მოქალაქეობრივი ცოდნა და კომპეტენციები, ის იქნება მოტივირებულიც, რომ ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და იყოს აქტიური მოქალაქე.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p><b>მიზანი:</b> ახალგაზრდებში ინტელექტუალური დონის ამაღლება, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება და სტიმულირება, გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვის, დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლება, თემის განვითარებაში ახალგაზრდების როლისა და მონაწილეობის გაზრდა.</p>		
	<p><b>შედეგი:</b> პროგრამის განხორციელების შედეგად ახალგაზრდების ინტელექტუალური და კონიკტური განვითარებისთვის შექმნილია შესაბამისი პირობები, გაზრდილია ინტელექტუალურ-შემეცნებით აქტივობებში ახალგაზრდების მონაწილეობის მაჩვენებელი.</p>		

## 6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისთვის



განისაზღვროს 1 302 070 ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(ლარებში)

№	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
1	06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 039 070
2	06 01	ჯანმრთელობის დაცვა	490 400
3	06 01 02	„ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცი-რეაბილიტაციის და ადრეული განვითარების ბავშვთა კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამა	40 000
4	06 01 03	ა(ა)იპ შუახევის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრი	291 500
5	06 01 04	ა (ა)იპ შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრი	73 700
6	06 01 05	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	85 200
7	06 02	სოციალური უზრუნველყოფა	548 670
8	06 02 01	“სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა”	37 000
9	06 02 04	ოთხ და მეტ მცირეწლოვან (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა	65 000
10	06 02 05	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის გასაცემი ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა	20 000
11	06 02 08	შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ვეტერანთა დახმარების პროგრამა	32 500
12	06 02 09	შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებზე სპეციფიკური-სამკურნალო პროდუქტების შეძენისათვის ფინანსური დახმარების პროგრამა	7 260
13	06 02 10	18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ფინანსური დახმარების პროგრამა	2 995
14	06 02 11	დიალიზის პროგრამაში ჩართული შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მგზავრობის დაფინანსების მიზნობრივი პროგრამა	15 415
15	06 02 15	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	368 500

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	დაფინანსება ლარებში
	06 01		490 400
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		



პროგრამის აღწერა	„ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის და ადრეული განვითარების ბავშვთა კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამა; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ა(ა)იპ შუახევის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრი ა (ა)იპ შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრი		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა შედეგი: ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობა		
პროგრამის დასახელება	კოდი	„ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის და ადრეული განვითარების“	დაფინანსება ლარებში
	06 01 02	ბავშვთა კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამა	40 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის ცერებრალური დამბლით დაავადებულ და 0-დან 7 წლამდე ადრეული განვითარების ბავშვთა რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობას. აჭარის ა. რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამა ითვალისწინებს კურსების დაფინანსებას, ხოლო მუნიციპალიტეტი მათი მგზავრობის ღირებულების ანაზღაურებას თანმხლებ პირთან ერთად. აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ კურსებზე მიმოსვლა, ამიტომ მერამ გამოიჩინა კეთილი ნება და გადაწყვიტა მათი მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ცერებრალური დამბლით დაავადებულ და ადრეული განვითარების ბავშვთა კურსებზე მიმოსვლისათვის მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას. შედეგი: ბენეფიციართა კმაყოფილების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება		
საჭირო დოკუმენტაცია	1. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა მშობლების განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე; 2. აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ვაუჩერის ქსეროასლი; 3.სარეაბილიტაციო ცენტრების მიერ გაცემული ცნობა კურსების გავლის შესახებ; 4. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა და მშობელთა პირადობის მოწმობის ქსეროასლი; 5. შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის ფლობის შესახებ ან/და სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახევის სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილობითი დოკუმენტი). 6. საბანკო რეკვიზიტები.		
შენიშვნა	შენიშვნა: პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს მოსარგებლე პირის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, ან შეიძლება გაიზარდოს მოქალაქის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.		
პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი	დაფინანსება ლარებში
	06 01 03		291 500



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმადელი სამედიცინო დახმარების გაწევის ორგანიზების აუცილებლობა, მომსახურება ეწევა შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, ექიმადელი სამედიცინო დახმარებას ძირითადად უწევს ადგილობრივი მცხოვრები პირი, რომელსაც აქვს საშუალო სამედიცინო განათლება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მომსახურების ელექტრონული ტენდერით შესყიდვის განხორციელება შეუძლებელია. ამასთან, პროგრამით გათვალისწინებული თანხები ზუსტად არის გათვლილი კონკრეტულ ღონისძიებაზე (მედდების ხელფასები - თვეში 250 (ორასორმოცდაათი)ლარი) და არ ითვალისწინებს მისი მართვისათვის დამატებით თანხებს.</p> <p>ამასთანავე, აღნიშნული ა(ა)იპ ახორციელებს მომსახურებას სოფლის ექიმებზე, ექიმის ჩანთით გათვალისწინებული მედიკამენტებით და სოფლის ექიმებზე გამოყოფილ ავტომანქანებზე საწვავით უზრუნველყოფას.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის პირველადი მედიკამენტების მიწოდება და დროული დახმარების გაწევა</p> <p>შედეგი: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება</p>		
პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრი	დაფინანსება ლარებში
	06 01 04		73 700
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>აღნიშნული ორგანიზაცია ემსახურება შშმ პირებს 6-დან 18 წლამდე, მომსახურება ხორციელდება კვირაში 5 დღის განმავლობაში, 10-დან 18 საათამდე და აქედან ბენეფიციარების ცენტრში გატარებული დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები და 6 საათზე მეტი, დღის ცენტრი გათვლილია 20 ბენეფიციარზე, ცენტრი ასევე ბენეფიციარებს სთავაზობს დღეში ერთჯერად სამ კომპონენტთან კვებას და ტრანსპორტით უზრუნველყოფას. ცენტრი მთლიანად არის ადაპტირებული შშმ პირთათვის. ცენტრის მომსახურება გულისხმობს შშმ პირთა საჭიროებების (შემცენებელი-ემოციური და ფიზიკური) გამოვლენას და მათი დაკმაყოფილებას, შშმ პირთა კულტურულ და სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფას, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას. ცენტრი ასევე ახორციელებს სხვადასხვა ტიპის მომსახურებას, როგორც ფსიქოლოგის, ასევე ოკუპაციური თერაპევტის და სპეც- მასწავლებლის მომსახურებას.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: შშმ პირების ინტეგრაცია საზოგადოებაში, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარებისა და სოციალური ინკლუზივის განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>შედეგი: შშმ პირების არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება, საჭირო უნარების განვითარება და ხელშეწყობა, მიტოვების პრევენცია.</p>		
პროგრამის დასახელება	კოდი	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მიმღე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	დაფინანსება ლარებში
	06 01 05		85 200
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>აჭარის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შუახევის მუნიციპალიტეტიდან ამბულატორიულ აღრიცხვაზეა 802 პაციენტი, აქედან წლის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად ამბულატორიას მიმართავს თვის განმავლობაში 200-მდე პაციენტი, რაც ძალიან მცირეა და ამის ძირითადი მიზეზი არასათანადოდ განვითარებული ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემაა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული მომსახურების უწყვეტობისა და საფეხურებრივი ზრუნვის პრინციპები. საფეხურებრივი და უწყვეტი მომსახურების განხორციელება სათემო სერვისების განვითარების გარეშე შეუძლებელია, სწორედ ამიტომაცაა საჭირო მობილური გუნდის მომსახურების დამატება</p>		



<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>ამბულატორიულ სერვისში. მობილური გუნდი ემსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, რომლებიც ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებათ სტაციონარში, ხოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს. გარდა ამისა ამ მომსახურებით იზრდება ტერიტორიული ხელმისაწვდომობა და ამავე დროს ცალსახად შეუმსუბუქდება ხარჯები ამბულატორიულ დისპანსერულ მეთვალყურეობას. 2013 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ფსიქიკური ჯანდაცვის კონცეფციის დოკუმენტში, ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის განვითარების ძირითადი პრინციპებია განსაზღვრული, რაც მოიცავს: დაბალანსებულ ზრუნვას, მომსახურების ინტეგრაციას, უწყვეტობასა და თანმიმდევრულობას. თანამედროვე ფსიქიატრიული მომსახურება ეს არის დაბალანსებული მომსახურება თემზე და ჰოსპიტალურ მომსახურებაზე დაფუძნებულ ზრუნვას შორის. გარდა ფსიქიკური ჯანმრთელობისა ეს პროექტი შეძლებს შეუმსუბუქოს პაციენტს და მათ ოჯახებს სოციალური მდგომარეობა, როგორც ფინანსური დანახარჯების, ასევე დროის ეკონომიითაც. ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანი რაიონიდან ამბულატორიაში ვიზიტისთვის(განსაკუთრებით ის კატეგორია პაციენტების ვინც შეირჩევა მდგ-ს მიერ, საჭიროებს თანხლებ პირს, რაც ოჯახისთვის დანახარჯია, გარდა ამისა ოჯახი რომელიც უმეტესწილად სოფლად და რაიონში სოფლის მეურნეობით არის დაკავებული კარგავს დროს , რადგან ასეთი მარშუტის გამო მთელი დღე და ხშირად ორიც ჭირდება თუ „დაავიანდა“ სოფლის ტრანსპორტის გასვლის საათებში. სოფლად ასეთი „მოუვლელობის“ გამო ხშირად პაციენტი თვეების განმავლობაში ვერ აკითხავს ამბულატორიას, შედეგად კი ეს შემდგომში პაციენტის გამწვავებით და სტაციონარებით სრულდება , რაც სახელმწიფოს, როგორც აღვნიშნეთ გაცილებით ძვირი უჯდება. ამიტომ მობილური გუნდის სერვისი არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ჯანმრთელობისთვის მომსახურების პროგრამა, პარალელურად მას სოციალური პროგრამის დატვირთვაც ეძლევა.</p>		
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მიზანი: -შეამციროს ფსიქოპათოლოგიური მდგომარეობის გამწვავების სიხშირე; შეამციროს ძალადობრივი ქცევის (საკუთარი თავის მიმართ ან ირგვლივმყოფების მიმართ) რისკი; შეამციროს სტაციონარების სიხშირე. ხელი შეუწყოს ხანგრძლივი რემისიისა და სტაბილიზაციის პერიოდის შენარჩუნებას; ოჯახისა და პაციენტის ფსიქოგანათლებლითა და მათთან თერაპიული ურთიერთობის დამყარებით ხელი შეუწყოს პაციენტის ინსაიტის გაზრდას, რაც პაციენტის მობილური გუნდიდან ამბულატორიულ სერვისში გადასვლას უზრუნველყოფს. ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტების მიწოდების უზრუნველყოფას.</p> <p>შედეგი: მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ჩატარებული საჭირო ღონისძიებები</p>		
<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 06 02</p>	<p>სოციალური უზრუნველყოფა</p>	<p>დაფინანსება ლარებში 548 670</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>„სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“</p> <p>ოთხ და მეტ მცირეწლოვან (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა</p> <p>გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის გასაცემი ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა</p> <p>უკიდურესად გაჭირვებული, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე და უსახლკარო ოჯახებზე ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა.</p> <p>შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ვეტერანთა დახმარების პროგრამა</p> <p>შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებზე სპეციფიკური-სამკურნალო პროდუქტების შექმნისათვის ფინანსური დახმარების პროგრამა</p> <p>18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ფინანსური დახმარების პროგრამა</p> <p>დიალიზის პროგრამაში ჩართული შუახვევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მგზავრობის დაფინანსების მიზნობრივი პროგრამა</p> <p>მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები</p>		



<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მიზანი: საზოგადოების ცალკეული ფენების სოციალური მდგომარეობისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება</p> <p>შედეგი: გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული ფენების სოციალური პირობები</p>		
<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>„სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“</p>	<p>დაფინანსება ლარებში</p>
	<p>06 02 01</p>		<p>37 000</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობს უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეთა უმწეო ფენები, რომლებსაც არ გააჩნიათ სრულფასოვანი თვითუზრუნველყოფის საშუალება, საჭიროებენ მზრუნველობას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვის მიზნით შუახვევის მუნიციპალიტეტში, კერძოდ დაბა შუახვევში განკუთვნილია სასადილო, რომელიც ემსახურება 42 ბენეფიციარს უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით. პროგრამა მოქმედებს 2005 წლიდან. უფასო სასადილოს პროგრამით სარგებლობენ შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 70 000-ქულის ჩათვლით.</p> <p>მიმდინარე პროგრამაში კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ერთჯერადად ყოველდღიურად (წელიდადში 366 დღის) განმავლობაში მენიუს შესაბამისად.</p>		
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ, უმწეო მოქალაქეთა ყოველდღიური უფასო სადილით უზრუნველყოფა</p> <p>შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ, უმწეო მოქალაქეთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება</p>		
<p>საჭირო დოკუმენტაცია</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;</li> <li>2. პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;</li> <li>3. ოჯახის სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი ცნობა შუახვევის სოციალური მომსახურების სააგენტოდან.</li> </ol>		
<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>ოთხ და მეტ მცირეწლოვან (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა</p>	<p>დაფინანსება ლარებში</p>
	<p>06 02 04</p>		<p>65 000</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>		
	<p>ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუსაქმებელია, მათი სოციალური დაცვის მიზნით ქვეყანაში გარკვეული ღონისძიებები ტარდება, საჭიროა დამატებითი ღონისძიების განხორციელება. მოსახლეობაში სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების სიმძიმის მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩევა მრავალშვილიანი ოჯახები, არასრულწლოვანი ბავშვებით, ასეთი ოჯახების ძირითადი ნაწილი</p>		





პროგრამის აღწერა	<p>შედგება სასკოლო ასაკის ბავშვებისაგან. პროგრამის მიზანია აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება. გასულ წლებში ანალოგიური პროგრამა განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში, ასეთი ოჯახებს გაეწიათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ცალკეულ ოჯახთა სოციალური მდგომარეობა. 2020 წელს აღნიშნული კატეგორიის გაჭირვებული ოჯახები, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, კვლავ საჭიროებს ერთჯერად ფინანსურ დახმარებას.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი: წინა-სასკოლო პერიოდში მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა</p> <p>შედეგი: 18 წლამდე ასაკის ბავშვების შესაბამისი ტანისამოსითა თუ წიგნებით უზრუნველყოფა</p>		
საჭირო დოკუმენტაცია	<p>2.1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;</p> <p>2.2. ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი, დედანთან ერთად;</p> <p>2.3. ბავშვების დაბადების მოწმობის ქსეროასლები დედანთან ერთად;</p> <p>2.4. ერთერთი მშობლის სახელზე ბანკში გახსნილი ანგარიშის ნომერი;</p> <p>2.6. შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის ფლობის შესახებ ან სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახევის სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილობითი დოკუმენტი). თუ დახმარების მიღების მსურველი ან ერთ-ერთი მშობელი რეგისტრირებულია სხვა მუნიციპალიტეტში, უნდა წარმოადგინოს ცნობა მასზე, რომ აღნიშნული პროგრამით იმ მუნიციპალიტეტისაგან დახმარება არ მიუღია.</p> <p>2.6. თუ დახმარების მიღების მსურველი განქორწინებულია, უნდა წარმოადგინოს ქორწინების შეწყვეტის და ბავშვზე მეურვეობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.</p>		
შენიშვნა	<p>1. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს მოსარგებლე პირი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, ან შეიძლება გაიზარდოს მოსარგებლე პირის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.</p> <p>2. 2019 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში მრავალშვილიან ოჯახზე, რომელმაც გარკვეული მიზეზების გამო დროულად ვერ წარმოადგინა, ან წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მაგრამ პროგრამაში თანხის ამოწურვის გამო ვერ გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება განხორციელდეს 2020 წლის პროგრამის ბიუჯეტიდან იანვრ-თებერვლის თვეებში, 2019 წლისათვის პროგრამით გათვალისწინებული თანხის ოდენობით.</p>		
პროგრამის დასახელება	კოდი	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის გასაცემი ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა	დაფინანსება ლარებში
	06 02 05		20 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
